დანართი 2

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით (განცხადების ფორმა იხ. დანართში 1);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან, პასპორტის ასლი;
3. ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ)
4. სათანადო (მაგისტრის) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი (აკადემიური ცნობა) და მათი ასლები;
5. მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთის ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
6. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);
7. ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი/დოკუმენტი (მოთხოვნა კონკრეტდება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობის შესაბამისად);
8. კვლევითი პროექტი კვლევის საკითხის, მიზნისა და მიმართულების/კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ;
9. შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
10. იმ შემთხვევაში თუ პირს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს უცხოეთში, ვალდებულია წარმოადგინოს მიღებული განათლების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
11. საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ.
12. განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში – სამეცნიერო პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობის, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.) მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს აღნიშნული მასალების ასლები.
13. მინდობილი პირის მიერ საბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, მინდობილმა პირმა უნდა წარმოადგინოს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

დამატებითი ინფორმაცია

- უცხო ენის გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51 ქულას;
- **საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აპლიკანტი ვალდებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გააფორმოს აკადემიური (სასწავლო) და ადმინისტრაციული (საფინანსო) ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების გაფორმებისას აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:** ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ) და მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტდისკზე (CD), დიპლომის დედანი და მისი ასლი, დიპლომის აღიარების დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში) და მისი ასლი, ერთი წლის სწავლის საფასურის - 4000 ლარის მინიმუმ ნახევრის (2000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი); (ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დოკუმენტების დედნები აპლიკანტს უბრუნდება უკან) დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია;
- ის პირები, რომლებიც ინფორმირებულნი იყვნენ, რომ სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვის ვადაში ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებაში, წარმოედგინათ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დოკუმენტები - უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების ან უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ და ვერ წარმოადგენენ დადგენილ ვადაში, მაშინ ბრძანება მათი ჩარიცხვის ნაწილში ძალადაკარგულად იქნება ცნობილი. ასევე იმ პირებმა რომლებმაც წარმოადგინეს ცნობა მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მაგისტრის დიპლომი და მისი ასლი.